

ნაწილი

ბავშვებისათვის ყველა წელი ფასი 20 კპვ.



„გაზაფხულოდა, ბურჯეს ძირას
თავს იწონებს ნაწი ია
— ადუ, ძია!

ჭიბჭი - წესები


კითხვა-პასუხის საღამო, რომელსაც ნიანგი აწყობს, უკვე ტრადიციად იქცა. ამიტომ დღესაც ამ საღამოს უამრავი კორესპონდენტი, ჟურნალისტი და მსმენელი დაესწრო. საღამო გახსნა ნიანგმა. მისი მოკლე, მაგრამ უაღრესად შინაარსიანი სიტყვის შემდეგ დაიწყო გაცხოველებული კამათი. სიტყვა პირველად აიღო ყვარლის რაიონის წარმომადგენელმა.

კითხვა.— მე დ. მამაიაშვილი ვარ და ყვარლის რაიონის სოფელ სანავარდოში კავშირგაბმულობის განყოფილების გამგედ ვმუშაობ, ამხანაგო ნიანგო. ჩვენს კოლმეურნეობას სულ სამოთახიანი შენობა აქვს. ერთ ოთახში კანტორაა, მეორეში—თავმჯდომარე, მესამეში—ჩემი განყოფილება. კოლმეურნეობას აქვე აქვს მოწყობილი ხანძარსაწინააღმდეგო კუთხე თავისი იარაღებითა და კასრებით. ეს კუთხე საფოსტო განყოფილებიდან 7 მეტრით არის დაცილებული. გარდა ამისა, შუა ეზოში შესანიშნავი წყარო მოჩხრიალებს, მთელ სოფელს ზაფხულის პაპანაქებაში ამ წყაროთი უდგას სული. ეს წყარო საფოსტო ოთახიდან 10 მეტრით არის დაცილებული. ამ წყარომ რომც დამახჩოს, მხას არ ამოვიღებ, მაგრამ ყვარლის სახანძრო რაზმის უფროსი მახჩობს და, რა ვქნა. 6 თებერვალს მოვიდა, რატომ საკუთარი ხანძარსაწინააღმდეგო კუთხე არ გაქვსო, რატომ წყლით სავსე კასრები არ გიდგია ცხვირწინო, აქტი შემოყენა და წავიდა. ახლა მასწავლე, ჩემო ნიანგო, დაეხურო ფოსტა, ავაგსო კასრები წყლით, ჩავიცვა მეხანძრის ფორმა და ვუცადო როდის წაეკიდება ცეცხლი შენობას, თუ განვაგრძობ მუშაობა?

პასუხი.— გაუცვალეთ სამსახური ყვარლის სახანძრო რაზმის უფროსს; მერე გაინავარდეთ სანავარდოში, შეუყენეთ აქტი და ვნახოთ. ერთი, რას გეტყვით, თქვენს ადგილზე რომ იქნება.

კითხვა.— ძვირფასო ნიანგო, ჩვენი სოფელი გორის რაიონში

სოფ. ბალანის (ლენინგორის რაიონი) კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში (გამგეობის თავმჯდომარე გ. კოჭაშვილი) ცხვრებს ძველი თივის კვებავენ. ფერმაში თივის ზვინებს, თვალის ასახვევად, ახალი თივის „შალითები“ აქვს გაკეთებული.



— შენც აგიკოპა კოჭაშვილმა თვალები?
— მე რისთვის? საკუთარ პირუტყვს ახე არ ეპყრობა!

მღებარეობს და შინდისი ჰქვია. მეტი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვანტანგ იოსების ძე მაზმიშვილი გახლავართ. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, სოფელი საუკეთესო გვაქვს, გაღვივებული მოფარდაგული. ჯერჯერობით სიბნელეში ვხას ვეკვლევთ. ისე კი, სამი თვეა სინათლე თვალით არ გვინახავს. ნახვით კი გვინახავს, დილით 9 საათზე რომ აგვინათებენ ელექტრონს, საღამოს 6 საათამდე მთელი სოფელი გაჩირაღდებულია, საღამოს 6 საათის შემდეგ კი არც რადიომიმღები, აღარც ტელევიზორი ჩვენთვის აღარ არსებობს. ახლა იმას გთხოვთ, ძვირფასო ნიანგო, სანამ ნავთზე ან ატომურ ენერჯიაზე მომუშავე ტელევიზორსა და რადიომიმღებს მოიგონებენ, ან იმაში დაგვეხმარე, რადიო და ტელეგადაცემები დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე გადმოიტანონ ან სხვა რამე გვასწავლე.

პასუხი.— როგორც ეტყობა, გორში ჰვონიათ, რომ თქვენი სოფელი დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროზეა მოთავსებული. ჩვენთან რომ დღეა, იქ ღამეა მაშინ და სინათლესაც ამიტომ დღისით გაძლევენ. დაარწმუნეთ გორი იმაში, რომ თქვენ ნამდვილად აღმოსავლეთ ნახევარსფეროზე იმყოფებით და არა ამერიკაში, რათა თბილისის დროით მოგცენ ელექტრომუქი, მანამდე კი მოიყვანეთ შინდისში ის პირები, ვისაც ეს საქმე ეხება და დასვით თქვენს ტელევიზორებთან და რადიომიმღებებთან. ნახონ ერთი, როგორი საყურებელია და მოსასმენი უსინათლო რადიომიმღები და ტელევიზორი.

კითხვა.— ძმაო ნიანგო, მე სახბანკის აფხაზეთის რესპუბლიკური კანტორის მუშაკი ვარ, სოხუმიდან გეახელით და გთხოვთ მომისმინოთ. 1960 წლის თებერვალში ჩვენი ბანკის ადგილკომმა 6000 მანეთი შეაგროვა ჩვენგან და გადაურიცხა ფოტოსამხატვრო ატელიეს, რათა ჩვენთვის სამახსოვრო ალბომები დაემზადებინა. ამის შემდეგ ორჯერ ჩამოთოვა ბზიფის მთაზე, ფოტოსამხატვრო ატელიე საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი გახდა, 6000 მანეთი 600 მანეთად იქცა, ბანკის ბევრი მუშაკი სხვა სამუშაოზე გადავიდა, მაგრამ სამახსოვრო ალბომები არსად ჩანს. რა გახდა ასეთი ჩვენი სურათის გადაღება, დღემდე ვერ ვაგვიგია. რა ვქნათ, ახლა ჩვენ, ძვირფასო ნიანგო, ავიდეთ მთვარეზე, დავეჯღეთ მის მეორე მხარეს და დაველოდოთ როდის გამოყვება ატელიე და ადგილკომი რაკეტას, მთვარის ჩრდილოვან მხარესთან ერთად გადაგვიღებს და გაგვახარებს, თუ ჩავიქნით ხელი?

პასუხი.— შეახსენეთ თქვენს ადგილკომს და ატელიეს, რომ ნიანგს თავისი ფოტოატელიე აქვს, მას შეუძლია უსასყიდლოდ გადაუღოს სურათები ადგილკომსაც და ატელიესაც და სამახსოვრო ალბომებსაც გაუკეთებს საჭიროების შემთხვევაში, თქვენივე ენით რომ ვთქვათ, თუ ეს ვადაგადაცილებული დავალიანება დროულად არ იქნა ლიკვიდირებული.

კითხვა.— მე სოლანლულელი ვარ, ჩემო ნიანგო, „მეზუზებიდან“. არ ვიცი ვინ მონათლა ჩვენი უბანი ამ სახელით. აქ იმდენი შეგვაწუხეს ელექტრომუქზე ლაპარაკით, მრცხვენია კიდევაც, გითხრა, მაგრამ ჩვენთან რომ ხდება, სულ სხვაა. ელექტროგაყვანილობა ჩვენთან ყველას აქვს, სინათლის ფულსაც ყველა იხდის, მაგრამ ნათურებს სჭირს ერთი უბედურება, შელამდება თუ არა, შუქის 80%-ს ჰკარგავს და ისე ბეუტავს, რაიმე საგნის მონახვა კი არა, თვითონაც ძლივს ჩანს. ა. წ. იანვრის ბოლოს სინათლის ფულის ასაკრებად შალამბერიძე გვეახლა. საღამოს 7 საათი იყო. ავაგვით საყვედურებით. მე რა ვქნა, პატარა კაცი ვარ, ჩემი საქმე ფულის აკრეფა და ქვითრის გამოწერააო. ქვითრის გამოწერაზე რომ მიდგა საქმე, ისე დაბნელდა, საწყალმა ველარაფერი დაინახა და ქვითრის გამოწერაც ვერ მოახერხა. გვთხოვა მერე — ლამფა ამინთეთო, თორემ ვიღუპებიო. შეგვეცოდა და ავუნთეთ. გამოწერა, როგორც იქნა, ქვითრები და წავიდა. ახლა როგორ მოვიქცეთ, ნიანგო, გვასწავლე, შენი ჰირიმი!

პასუხი.— მოიბარავეთ ნავთი, გაწმინდეთ ლამფის შუშები, მისაგნებ ადგილზე დადეთ ასანთი და მომზადებული მეხვდით შალამბერიძის ახალ გამოჩენას, რომ უბერულობას არ ჰქონდეს ადგილი და მუშაობაში ხელი არ შეეშალოს. მანამდე ალბათ მისი გამოგზავნი ერთხელ მაინც შემოივლის „მეზუზაში“, შერცხვება ასეთ მდგომარეობას რომ ნახავს, იმ თქვენი ნათურებივით გაწითლდება და, რაც თქვენ ტყუილ-უბრალოდ ფული გადაგიხდიათ, იმას თვითონვე გადაიხდის, ან უკან დაგიბრუნებთ.

ღვანისის რაიონის სოფ.
განთიადის ორჯონიძის
სახ. კოლმეურნეობის ფერ-
მის ქროხების

კარგეზები



თქვენ ალბათ ხშირად დაგვადებიათ კითხვა, რატომ აქვს ძროხას ნალვლიანი თვალები. სხვისი არ ვიცით, და ჩვენ კი ნამდვილად სანალვლოცა გვაქვს და სატირალიც.

აბა, წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა: საპენსიო ასაკს დიდი ხანია გადავცდით. ბუნებრივია, რძეც გაგვიშრა, მაგრამ არა და არ გვეშვებინან, დღეში სამი-ოთხი კგ რძეც რომ დაგვალევიონ, ალბათ ნახევარსაც ვერ მოვიწველით. ჩვენი ბატონ-პატრონები თითქოს დაჯინაზე, ყველაფერს პირიქით აკეთებენ. ზაფხულში, როდესაც მწვანე ბალახი ბიბინებდა და ჩვენვე შეგვეძლო საკვების შოვნა, სიმინდით გაგვანებიერეს. მართალი გითხრათ, სიმინდი ძალიან გვიყვარს, მაგრამ მაინც დავექვდით, ნუთუ ჩვენს სოფელში იმდენი სიმინდი მოდის, რომ ზამთარ-ზაფხულს ეს სიმინეება არ მოგვაკლდებოდა. ჩვენმა უხუცესმა ძროხა გიშერამ ჩიფჩიფით გვითხრა: «ჭამეთ, ჩემო დებო, უიღრე გვაძლევენ. ჩვენს ასაკში ქალი ნაკლებ უნდა ფიქრობდეს მომავალზე, ვინ იცის, ზამთრამდე ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ მიაღწიოს».

ჩვენს გიშერას ის დროც ახსოვს, როდესაც ახალგაზოგობისას მოტაცებასაც კი უპირებდნენ. მაშინ გიშერა გაუთხოვარი ყოფილა და ბეწვზე გადარჩენილა.

ე, რა ვუთხრათ სიბერეს. ახლა აღარაინ არ გვაქცევს ყურადღებას. შარშან ჩვენი კოლმეურნეობიდან ოცდაცხრამეტი უშობელი ისე გამოგვაცალეს ხელიდან, რომ ჩვენთვის არც კი შემოუნელიათ.

აი, ასე ექცევიან კადრებს განთიადელები, ბებრებს გვტოვებენ და ჩვენს შემცვლელებს კი, ღმერთმა იცის, სად აქრობენ.

ერთი ნეტავ ჩვენი ადგილსამყოფელი განახათ, დაგვერწმუნეთ, იგი იმდენად ძველია, რომ თქვენი ცოდნა ისტორიაში საგრძნობლად გაიზარდება.

ეს კიდევ არაფერი, ჩვენი ფერმის გამგე გვარწმუნებდა: ჭამეთ, თქვენი პირიქე, ზამთარში ისეთი სილოსი მოგართვათ, რომ მართო მისმა სურნელებამ დაგათროთო, დადგა ზამთარიც და ჩვენ პარში ჩალაგამოვლებული დაგვტოვა.

ჩვენს გამოსაკვებად სულ ცოტა 2300 ტონა სიმინდის მწვანე მასა იყო საჭირო. ალბათ, ჩვენმა უფროსებმა იფიქრეს, ესენი მაინც ბებრებია, ჭამის მადა დიდი აღარ ექნებათო, და მხოლოდ 1085 ტონა სილოსი მოგვიმარაგეს ზამთრისათვის, მაგრამ ვაი ჩვენს უბედურ დღეს, მტერსაც არ ვუსურვებ, რაც ჩვენ ვნახეთ, ამოდენა დოვლათი დალაბა და ისეთი სუნი დააყენა, რომ ფერმის გამგის შეპირებისა არ იყოს, სილოსის სუნმა გაგვარბო და დავათრო კიდევც.

ჰოდა, ამიტომაც ნულარ დაგვემდურებით, თუკი თვითელმა ჩვენთაგანმა შარშანდელთან შედარებით წელს თვეში ჩვიდმეტე კილოგრამი რძე დაკაკლოთ.

— უფროსო, აქტი ჩავწეროთ ცხვარი მგელმა შეჭამათქო, არა?
— მგლებივით ბიჭები არ ვართ, თუ!

ამბობენ, ჩვენი რაიონის მთავარმა ზოოტექნიკოსმა ქრისტო აკრიტოვმა და სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსმა ირაკლი დვენოზაშვილმა. ცოტა არ იყოს, წონაში დაიკლებსო. ჩვენმა გიშერამ ეს ასე ახსნა—თუ კაცს რძის ნაწარმი შემოაკლდა, კარაქივით დადნებაო. ეს თავის თავს დააბრალონ ქრისტომ და ირაკლიმ, ჩვენ კი გთხოვთ, დამსახურებისათვის სათანადოდ მოგვაქციოთ ყურადღება, და ჩვენ თუ პენსიის საქმეს არ მოგვიგვარებთ, დვენოზაშვილსა და აკრიტოვს მაინც მოუხერხებთ რამე.

ფერმის ძროხების დავალებით: წაბლა, ლამაზო, გიშერა, ფაქიზო და სხვა.

ხელმოწერა ჩვენია, რომელსაც ადასტურებს ნოტარიუსი გ. შურშიდაშვილი

ქარაგმული ნაკვესები

● მალაზიის ვიტრინაზე ყველაფერი ლამაზად ეწყო, მხოლოდ ფასები იყო დამახინჯებული.

● მზარეული კატლეტს აპურებდა და მომხმარებელს ვერა.

● საწყობში იმდენი კატა ირეოდა, რომ თავი კუდს ვერ მოიქნევდა.

● ავადმყოფი წამალს ათავებდა და წამალი ავადმყოფს.

● სიმთვრალეში ისეთი აუტანელი იყო, რომ საკაცით უხდებოდათ მისი სახლში ატანა.

● მწერლის წიგნები პრესაში კრიტიკოსებს იკიდებდნენ და მალაზიებში ობს.

გ. შავმკრახვილი



ბანიკურები

— ბინა მივიღიაო, მომილოცეს!
 — მოდი, ნახე, შესანიშნავი ბინა... მერტა!
 — ამ მაგარს, ამ შინი მოხუცებული დედაპოლი რადერ უნდა ამოვიდეს მებუთო სართულზე? — არ ამოვს? დედა, ჩემი სიყვდილი, ვე არ თქვა მეორედ, თორემ გამოსდება გული...

სამართლდ მთხარი, გვიცი, ვინ უფრო გვიყარს—დედა, თუ მამა?... მთხარი დედა... მოკლად მოგვიყვ.
 — შენ მიყავხარ, ბიძია... მომეცი მოკლად...

— თინოცა შემოვივლდე, იქნება გადმოხვიდეთ ამ საღამოს შენ და კირილ ზენისას?... კაცის შურაბით შევიქცეთოთ თავი... — მოთახიბო ტელეფონით მინახორა მზეთახი.

— გმაღლობო, ძვირფასო, მაგრამ ამ საღამოს ეფერისთან ვაგინათ ასდეს და არ გუყვარის, შენი ქირები, ვერ მოგვათ, მოხუბოდიშა თინოცო.
 — გაიგინე! — აწოტა და ურზილს ჩამოკიდების შემდეგ ბინალია... კირილ და თინოცო ამ საღამოს ეფერება ადინა... შენ თუ ეველაფერში არ გამოიჩინე, ისე ხომ არ იქნება... დავინა ვაინა, შე ერიცხე, სახურის შეიქნება... ქმარი მყავსო, თინოცი დაღტრებახოს... არიბა, ვაგივრე, თორემ ასე არ არის, შენმა თავის გახეობამ.

— არა, კირილეს რომ არ დინა ეფერება ასდელი სახურის ყიდა თინოცათვის, მაგი მე არ ეამყვრებო... მაგინა, სწორედ რომ ვერ გამოიბა, თეთონ რადილე მიყვება იქ... — მხოთი აიხრა ქმარმა.

ნანა კანდელიძე

რა ეყუთ, რომ სიმონი აგრონომია არ შეიძლება აგრონომი კაცი იყოს ლიტერატორი თორემ ჩნოვი იყო თავიდან შერალი, არც სტენდალი დაბადებულა მწერლის პარანზი. ნიკეთორ კი მანცხაშვილი სიმონს ჩასცვია: კაცი, რა წერას აუტანიათ.

ვითომ რა უნდა თქვას? მწერალი არა ხარო? შე ჩემს ქიას ვახარებ... აცხადებს სიმონი და წერს. უყვარს სმეცა, ლიტერატურა, ისტორიული ამბობა და მასი შერალის თქვა ესა. ამატომ მისი მაგილის წიენი კანდალია.

— დღეს ჩვიდმეტია... ფურცლავს კალენდარს სიმონი... — ოკვი დაბადებულა არკადი კვინიძემ, გავუბეტი და ერნალემი აღბოთ აღნიშნავე ამას, ჩავინებო... — გაიხე ხეინჯა ვინა ნეტა? ფილოსოფიის ყოფილი! ორობედაბული წელი უსრულდება დაბადებულა. გავახებო ერთი რედაქციას... ამისი სიმონი და უნის წიგნა მწერს ახლა სხელს და გვირს. ფიცი, ნიკეთორ იტყვის, ეს კაცი ფილოსოფიისა და შერს რა ხელი ვაქვს მათთან, თეთონი, რა ხელი აქვს ჩემთან ან ჩემს წერალთან, ან ჩემს უბის წიგნათან? — უბის წიგნას გახსენებულ სიმონს კოლი აგონდა. შენს რჯებზე სულიყო ავათურებს ხელს, სიმონ! უფროხადი!

— უჰ, რა დავილა? — თქვა ერთ დღეს სახეშობი დაბრუნებული სიმონი. — დაიღობდი ანა რა? იმდენი ცალი გეცოდა, მივიტოვ, ჩარიაჩა ვიღაცა უსო? — ჩავისარტა ქმარს სულიკომ. — ერია, ვერა გუნებავ, — არ ვამა სიმონს კოლის ვადაკრული ლამარაკი და უფრო შერაკი თავი. — სიმონიწი ნაღველი ჩამეკცა. ახდენ სიარულს, სავაროში დიუჯდებოდი და დიუჯრდი წერლის.

ჩხუბი აუცილებელი

— პო, იყოცხელ, შენ საჯაროში წერის გამოსცხობდი, იქ მადლობარ წერის მადხე, იმადიუფება შენი შუბა... — რაო? — სახე ვეწავლა სიმონს.

— დაჯეცი, წესიერად დაჯეცი, — უთოქო სულიკომ ბავშუს და კინაღამ სუფრის კოხხე ჩაქოო თოქო.

— რა დავებრია, კალაო? მაცილდ ქანა... — ის უნდა მოკლა დღეს, ეს... — სულიკომ ახლა ბავშვი სკამზე დახარცა.

— რას გინახავს ბავშვი? დღეს შენ წერის ხომ არ აუტანიახარ? — იყვირა მოთმინებლი ამოსულმა სიმონმა.

— თეთონ აუტანიახარ წერას. წერე, წერე... ქალებს სახელები გელთან შეინახე, არ დაჯეკავო.

ვინ ქალებს რა? გავადაგრა, რა ნახე წიხელს სიმონში?
 — რა ვნახე კი არა, ვინ ვნახე, ასე ვითისა? — პო, ვინ? ვინ ვნახე?
 — ვინა და ვინა დარე, შენი ეკატერინა, კლარა, ია, რომა, ეს კლარა მოკეთეზე ცაქანი, ხომ?

— ვინ კლარა? რა რომა? — იეთხა ვაიკო ბუღმა სიმონმა.

— დღიდანვე წიგნას ჩაქოვტიტებ, ისთან საჯაროში ბავშვი ვაქვს, ხომ? — ია? საჯარო? — სიმონს სახე ვებადრა, — პა, პა, პა... მოთო ხარხარი. მერე კოლს მიებრუნება... რა ხომ იტყვი, სულიკო, მაგ ქალებს? ახდენ გახეებზე, სურათებს.

— თამაზობს, თამაზობს, როგორც ყველა მამაკაცი. როცა დანამაშულე წასაწერებ. უნდა თეთი დიდიტინოს... ამბობდნენ გათეზე სულიკოს თვალები.

— ახლა ეს მაკლია, რომ იმ ქალების სურათები კედელზე ჩამოღებოდა... იგივეა სულიკომ, დავლო ხელი მაღლის და გარეთი ვაგარდა. სიმონი კოლს დიდებინა.

— სულიკო, მოიკადე. ბავშვი ვინე, ხომ ვიგვირს კინო. 'მადლანს სურჯა?' პოცა, ეკატერინე, ეკატერინე ვაგაწილმა დავერდა მადანს ლუკოჯა.

— თეთი დამინებე, ვაგიხაროსი შელი რომამ და ია.

— სულიკო, იცი ვინაა რომა ლუკმებრევი? — არ ვაგაწიროს შელი, წიდი შენს ისთან, შენს კლარასთან.

— სულიკო, კლარა ეკატერინის სახელი არ ვაგივრია? — ია მანიც კაცია, შეე კი ქალი.

მაგ სიმართლით იარე, ია კაცის სახელია, ხომ? ხარამვეცი? — ქალი, ხომ ვეცეს სახე ბიკოლა შენ? სახე ბიანეშსაც კვიცია, ხომ ვერკვა ბაბუაშენს იუსტიზე თესტიერ ერეკვა ბებიაშენსაც? ხომ გეცოა სულიკო შენ? შენი დარეკტორი კაცი არაა? რატომ გეცოა სულიკო? შენ სადყოილე მსახიობ ქელს სიმონა არ გეცოა, სიმონა სონიორი? არც ელია გვეტრა? შემოხმედ, სულიკო. ნახე რა ვიღაცა! — სიმონმა ვერცხელს მამაკაცი ჩაუღლო ჯიბეში, უტყარდ სულიკოა გეუბინებდა. სიმონი გათეხიზულდა, საკეთარ სახელს იმ ალბინად.

— რაო, დიდა? რატომ ტირი? — მოესმა სიმონს სახიდან კოლის ანგელოზის ხმა.

— ესეც ასე. საცემ მოგაგელოდა... ვაგიდე სიმონს და უტყარს საოცარი სურვილი ვაგებია: მოდი ერხებულ დიდიტინოს დაწერასაც კადე. უნდა დავფერო ჩემი კოლის ამბავი. სისაურე მზადა მაცეს: ევეიო ავიდნე შეიკო... ეს არ შეარტვა მოლიტის თავის ნაწილებზე! თუ დამიბეჭდეს, თქვას ნიკეთორემ — მწერალი ხარ, კაცი, თუ აგრონომი, წერის ხომ არ აუტანიახარ? თქვას ვინც ია უნდა იტყვს, წისქელმა ის ეტყეს...

ბალიადა



— ექიმო, შენმა წამალმა არაფერი მიშველა, კვლავ ხაზინადა გსუქდება... — ხანამ შენი ქმარი აველ-კარკის ბაზაში მუშაობს, მე ვერაფერს დავგებნარებო.

მ. რ. ჯ. ა. ი.

ითქვას ეველაფერი რიგე ქინდა რეცხოს ოთარ კავარძის. მძილდელი ოთარ მთავარი გმარა ახალს ხანდა.
 — ვყო უნდა იუბ ციხელი ვერცხლისაგული ლურჯაფერი ტან უნდა ქილდეს. ხმა მოხაზობდა, თვალებიდაც იმ უნდა ქილდეს ნაკურსულს, როგორც დახს სახელი ეს, იქ უნდა ციხელადღეს, როგორც ტყვეაფრევეცი, ცქვის ჯიბეში უნდა დაქილდებულს, მაგრამ სად ვნახო, სად? მუღოთი ამოქალი...

— მე ვინ ვაქალი... ია, გამარჯობა, ბაქორი სახსონი... თქვენი ვაგივრე... კარე ვაგოვო... ია, თქვენი ნაფიცივა?... რა თქვა უნდა. მხარედა ბუჯინა, მაგინა... მე თეთონ ვნახავ... თუნდა დღეს... ვაგივრია.

სამონი ითეთი თანდავება ვაგვა, რომ ოთარის ბეჯი ასე თუ ისე დაქილდებულ იყო მის განწერილობაზე, და ამბობ, ოთარი, ასე თუ ისე ვარკვეული კომპოზისე უნდა წასულყო.

ოთარი ბინაზე ვაგლა სახსონს, მასმინდელი ხელ-ვაგული შეეცა ზეგინათ და მზილად მამინდელურა ხელზე, როგორც ციხელი მაგადამან მიაბატედა და ჩან შეეცაგა.

— ვაგარი სახელები კატეგორიულად ამბობდალეს ექიშება... კატეგორიულად ვაგებება სახსონმა... მაროლეცა... ვაგარეო ისეც მასმინდელა... რა ღი სიულუდეს ჩავდივარ, მწერ ჩან სახელებით რომ ვიბრუნებო ჩან, ბაქორი, ჩან? განა ნახე შენებზე ჩამო... ოთარი ზრდილობისათვის ვაგინა... მერე ოთარხან დაბლო ტანის ქლიშვილი შეგირება და ჩან შეეცაგა.

— აი ჩემი ჯულიტაც, რას ტყვი, ოთარი, ხომ ზღვამოქორია შენი ფილმისათვის?

ოთარს ითოქი შელი ჩაიგინა ვაგაასტეს ენა... ლულდელია... ანა, თეთიდავება ვთინა კარია, მაგრამ შეყენა... ექიმო, მარტო შე ვერ ვაღაფრევეცი... ვაგინებო, ვნახო.

შერე დღეს ოთარმა ჯულიტა დაღვედა ახდეს წაურდებია.
 — მიაღვეცი თუ არა ოთარი მარტო, დაღვეული ვეუბოს ვაგებება საყვედურების სიტყვა დაამცეს:

— დეპოტი ჩემო, რა დავაჯავოდა!
 — ასეო ციხე თვალებს მინახული არ ვარ!
 — ხმა ნაწილად ვარაგებინა აქვი!
 — ტახტური დღესაც!
 — იერის თუ ტირის, ვერ ვაგივს ვაქვი!
 — იქვე საყოფარ შენაზე მოეს დაგვაჯავებს და ცქესე სიარული შეეცაგა.

— ქინდა ვეგინა მოლის მომინებელია ვაგლა ზეგინათ... — დღეს კინო საქულედაც ვაგინათ.

— კი, მაგრამ, ტანს რას მიუბრუნებ, ტანს?
 — სიმამლე?
 — მარტოხაზის შორს დავაგინე, ჯულიტა პირობათში ვაგინა.

— თვალები?
 — მთელ კიბის ახლო ბლანზე სტეიო თვალები ვაგებებო.

— მარს მახაზობი ვაგამოცნებს.
 — სილოტი?
 — იტყვი სიბრტის ობატის მსახიობი იყინება, იტყვი სიბრტის ობატის თვალები და შეეცინა დაგვაჯავს, ცქვისი ღერის მოეცევიც ქელს ვადაგინე ქელს ვადაგინე.

კახი მთავარი რეცხოსის სასაყვედურებს ვადაგინე.

ოთარს ვეგინათ აიღო და სახსონს დარეკვა... ბაქორი სახსონ, ჯულიტამ ჩანდახან შემოიარის სტულიაში. ეველები დიდა არ ვადაგებო.

ვაგება დრო, ვაგებინა ახმავდა ოთარ კაცია... ოთარს ახლო ფილმის ვაგო, კრედიტების ეწინააღმდეგე ფილმის კრედიტები ციხე მოაგებულება დატყვა ახალაგარდა ნიკურის მახსონმა ქანა ჯულიტა ოთარისგან, დაევიტყვას და თეთონ სახსონის სიტყვები არც კი ვაუტყობოა ვაგარეო.

— ვინა რა ვაგინეცა უნდა, ისე შეეცოტანა ჩაიღიარო, რომ აუცილებლად ვაგებებს. ჯულიტა ვაგებებია. მ. პაბტიანი



ნანა, გ. ფერხვადავის

ხოვთიერი მუშაკი არ თვალისწინებს ბაზრე შეიღობების, ვანსეკულად იღებს და სხელებს თათხე ახდენ ვადაგებულ ვადაგებულს. (საბოლოო კავშირის კონფისიტობის ეტნარული კომიტეტის იანერის პლენუმის მასალებიდან.)

— ჩვენ შემოშლითა ვაგვალ და მაგ ქილდით ვინდა შესარული ვადაგებულება?

კოორდირების ვითარების ჩვენს ხელშია 12 ციხე სილოტი

61

ნახ. თ. ჯინგარაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურიდან ახალმოსული სადილს შევექცევი.
 — ბოცო დაუჭერიათ.— ლობიოსთან ერთად მაწვდის ცოლი.
 — როდის? რატომ?— მიჩერდება ლუკმა ყელში.
 — დამთვრალა და ქუჩაში მოხუცი დარაჯისთვის უცემია.
 — აუჰ, საცოდავი დედამისი!

ბოცო მეზობლის ბიჭია. საშუალო განათლების კურსი შარშან დაავიწყდა და ახლა სტაჟისთვის მუშაობს. კაცმა არ იცის, სად რომ შეხედო, გამოჭრილი აპოლონია. ათასგვარი რკინებითა და ზამბარებით იყენებს ტანს. მაგრამ, რა გინდა, ტვინი შარვლის ტოტივითა აქვს გატყინებული. ეტყობა, მის სავარჯიშოდ დრო არ რჩება.

— სასამართლოდან დახასიათებას გვთხოვენ— აგრძელებს ცოლი.
 ბოცოსგან მთელ სახლს სისხლი აქვს გამშრალი. მეტად თავგასულია. სიმთვრალეში ხომ არი და არი. განსაკუთრებით ფანჯრის მინებს ვერ იტანს. საცა წააწყდება. მუშტს გაუყრის და გათავდა. ჩანს, მინის წყარალი სიამოვნებს. მაინც მეცოდება. ობოლი რომაა მამით, მით უფრო.

— ქვა უნდა გახეთქოს ჩვენმა დახასიათებამ.— ვუბნები სიმონს, ჩვენს მეზობელს.
 — ნამდვილად. არაფერი არ უნდა დავაკლოთ.
 — რაც შეიძლება თბილი უნდა იყოს, მშობლიური.
 იგი გაოცებით შემომცქერის.
 — ხომ არ გაგიჟდი, ადამიანო. ჩემს საწამებლად გაჩენილ კაცს მე დავეხმარო?
 — აბა რას უბირებ?!— გავიოცე მე.
 — ყველაფერს ჩამოვაჭიკჭიკებ, რა შეილიცაა.
 — როგორ, უფსკრულთან მდგარ კაცს ხელი ვკრათ?
 — თვითონ რომ მკრა ხელი კიბეზე? დეგენერატი რომ მიძახა? მითხარი, დეგენერატი ვარ მე? ანდა, პალმა როგორ გადამიგლო ძირს?
 — რა დროს პალმაა, თუ ძმა ხარ, ბავშვი იღუპება.
 — ახია, ჭკუას ისწავლის!
 მე პედაგოგიკის ფრონტზე ვმოდგამო. საკუთარი თვალსაზრისი მაქვს აღზრდაზე. იგი მაკარენკოს შეხედულებებს ენათესავება. ჩვენ ორივე დასჯის კატეგორიული წინააღმდეგი ვართ.
 — გამიგონე, სიმონ. ბოცო ნელდი მასალაა. ფაქიზად უნდა მიდგომა. ნახე, როგორ დაგვიფასოს. მიწაში ჩაძვრება სირცხვილით.
 რალა ბევრი გავაგრძელო, დავიყოლიე.
 მეორე დღე დანარჩენი მეზობლების გულების არყუებას მოვანდომე.
 და, აი, ვზივარ დერეფანში. ირგვლივ თავები მახვევია და ვკითხულობ ბოცოს შესაწყნარებლად გაშანშალბულ არზას:
 „ბოცო ბრეგვაძეს ჩვენ, მეზობლები, ვიცნობთ დღიდან გაჩენისა. ამ ხნის მანძილზე მან თავი გვაჩვენა, როგორც გულისხმიერმა ახალგაზრდამ.“
 გარშემო ფხუკუნი ისმის. იმ შეჩვენებულს ისე აქვს ავტორიტეტი შელანძღული, ყველაფერი სასაცილოდ ქდერს.
 „მასში თავიდანვე იყო სწავლის უზომო წყურვილი. არ გვახსოვს, როდესმე დედამისი პედსაბჭოს სხდომაზე გაეწითლებინათ.“
 — მაგის შემყურეს სისხლის გათეთრება აქვს და რალა გააწითლებდა!— ოხუნჯობს ვილაც.
 „განსაკუთრებით ყურადღებიანი იყო მეზობლების მიმართ. მას თავის დღეში არ შეუბრუნებია ჩვენთვის სიტყვა. ხელის შებრუნებაზე ხომ ლაპარაკიც შედგებოდა.“
 ფხუკუნი სიცილში გადადის. მე, რაც შეიძლება, სერიოზულად ვიჭერ თავს.
 „ყოველივე ამის შემდეგ დიდად განგვაკვიფრა მრმხდარმა ფაქტმა. წარმოუდგენელი დამთვრალიყო ბოცო, რომელმაც ლიმონათის მეტა სასმელი არ იცის! როგორ შეეძლო მას ცხვირიდან სისხლი ეღინა მოხუცისთვის, როდესაც ქათამსაც ვერ ეკარება დასაკლავად!.“
 ერთმა თვალდაღურგებულმა მეზობელმა ჯერ ყურზე მიიფარა ხელი, მერე ჩაიჩნია და დემონსტრაციულად დაგვტოვა.
 „ჩვენ საშინლად გწუხვართ და ამასთან ვთავმდებობთ, მსგავსი აღარაფერი გამოვრდება. გვეკრა, ბოცოს ახალგაზრდა სიცოცხლე საჭიროა საზოგადოებისათვის. მას ხომ ჯერ თავისი წვლილი აგური არ დაუდვია მომავალი ცხოვრების კარიბჭეზე.“
 სამარისებური სიჩუმე. არსად სიცილის ნატამალი. ის კი არა, სამ-ოთხ თვალზე ცრემლიც შევინიშნე.
 — საიქიო რომ არსებობდეს, ჯოჯობეთი არ აცდებდა!— მეუბნება სიმონი და პირველი აწრიბინებს კალამს. მას სხვებიც მიყვანენ.
 პეტრია იმწამსვე ვაფრინეთ, სადაც ჯერ არს.
 ... ერთ დღეს, სამსახურიდან დაბრუნებულს, დერეფანში სიმონა მხედება.
 — იცი, ბოცო გამოუშვეს!
 — მართლა?— გამიბრწყინდა თვალები.— სადაა?
 — სახლში წვეს.
 — რა დაემართა?!
 — ისეთი არაფერი.
 გამოსვლის აღსანიშნავად ცოტა გადაუკრავს, შემდეგ ჩხუბი აუტეხია და თავგატეხილი მოვიდა.— ჩვენს ეზოშიც...— სიმონმა თვალები გვერდზე გააპარა.
 უკან მივიხედე და უცებ გულში რაღაც ჩამწყდა. ჩემს ფანჯარაში მინის პატარა ნატეხი დამსხვრეული იმედივით ეკიდა.



— სახსრები მაწუნებს, ექიმო!
 — მთავარია სახსრები გქონდეთ და მე გამკურნალებთ!

გალის საბავშვო ბიბლიოთეკა დაქირავებულ სახლშია მოთავსებული. ეზოში დიდი ნაგახია გაშვებული და სახლს ვერაფერს ეკარება.



ნახ. რ. მახარაძისა

— ახლოს არ მიეკარო, გოგო, თორემ შეგკამს! დედას დაგუძანოთ და აქ გამოგვიტანს წიგნებს!



— სირცხვილია, ბავშვები ვეღარ გცნობენ, ერთხელ მაინც მოდი აღრიანად სახლში, — მისაყვედურა ჩემმა მეორე ნახევარმა...

გზაში დიდხანს ვფიქრობდი და საბოლოოდ გადაწყვიტე, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, დღეიდან მუშაობის დამთავრების შემდეგ პირდაპირ სახლში წავიდე...

— მითხარი, რა უბედურებაა ჩემს თავს? დილას ჯანმრთელი წახვედი და ასე უცბად რა მოგაფრინდა?!

— ქალო, ხომ არ გავიჟღი, ავადმყოფს რა მიგავს! — პალტო გავიხადე და ბავშვებს მივუაღურე...

სადილმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. პატარა გოგონა იმდენად გათამამდა, რომ ჩემთან მოვიდა და მთხოვა: „მამიკო, ჩამიჯექი კალთაში!“

— აწი სამსახურიდან პირდაპირ სახლში მოვ... — სიტყვა ელექტროზარის ხმამ გამაწყვეტინა. ახლო მეზობელი შემოვიდა და საზეიმოდ გამოგვიცხადა: ვახშმად სტუმრები მყავს მოწვეული და თქვენ, სკამებთან ერთად, დაპატიჟებული ხართო.

კოლმა ყოყმანი შემატყო. შეეშინდა, თანხმობა არ მიმიცა და საკუთარი ინიციატივით სასწრაფოდ გადაუხადა მადლობა მეზობელს, თანაც ათასი მიზეზი დაუსახელა, რომლის გამოც სტუმრად მხოლოდ სკამები წავიდოდნენ მასთან. 12 საათამდე არასოდეს არ დამიძინია და დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ სკამები საქეიფოდ წავიდნენ, არ მიღალატნია ტრადიციისათვის.

ჩვენი სახლის მშენებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წინასწარ გაუთვალისწინებიათ მეზობელთა შორის ახლო ურთიერთობის მომავალი პერსპექტივები და, ალბათ, ამის წყალობით არის, რომ ყველა მეზობელი საკუთარი ყურით ისმენს რა ხდება სხვის ოჯახში. დღეს მეც მაქვს ბედნიერება ზუსტად ვიცოდე მეზობელთან მოსული სტუმრების რაოდენობა, მათი მოსვლის დრო და მასპინძელთან შეხვედრისას წარმოთქმული ტყუილებით მსგავსი სიტყვები.

დრო გარბის. უკვე თორმეტი საათი შესრულდა. მე ლოგინს მივაშურე, ხოლო მეზობელთან გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ. საკვირველია, სტუმრები გუშინ მოიწვიეს და დღეს კი იწყებენ ქეიფს. ალბათ, ორი დღით არიან დაპატიჟებული. თამაღის არჩევას რამდენიმე წუთი მოანდომეს. შემდეგ სუფრაზე და მთელ სახლში სრული სიწყნარე ჩამოვარდა. როგორც ჩანს, მეტყველების ორგანოები დროებით სხვა დავალებათა შესრულებას შეუდგნენ.

— ჩაის ჭიქები! — ყუმბარის აფეთქებასავით გაისმა თამაღის მჭექარე ხმა და ამ ორმა სიტყვამ დაარღვია დროებით ჩამოვარდნილი სიჩუმე. ლხინი ძალაში შევიდა. სადღეგრძელოებს სადღეგრძელოები სცვლიან, სასმისებს სასმისები. მე კი შამფურით ვტრიალებ ლოგინში და ჩემდა უნებურად ვუსმენ შემთვრალი სტუმრების დაუსრულებელ ვარჯიშს მჭევრმეტყველებაში. მთლად სმენად ვიქეცი, როცა თამაღამ მეზობლების სადღეგრძელო დაიწყო. ცხადია, უკულტურობაა სხვისი საუბრის მოსმენა, მაგრამ ამ შეცოდებაში ბრალი ისევე ჩვენი სახლის მშენებლებს მიუძღვით.

— ჩვენი ტრიფონის საყვარელ ოჯახში, — დაიწყო თამაღამ, — დღეს მოვიდნენ საუკეთესო მეგობრები, ყველაზე ახლობელი, ყველაზე ძვირფასი მეზობლები; ისინი, ვინც ღირსნი არიან დღეგრძელობის. აბა, ახლა ყველა ძალსა და მამაძალს ხომ ვერ ვადღეგრძელებთ. — ამ სიტყვების გაგონებაზე ხუთჯერ ვადგებრიალდი ლოგინში.

ლამის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც მშობლების სადღეგრძელო შესვეს. მშობლების სიყვარულმა ბევრი ტრაგედია გამოავლინა. მათი გულამაჩუყებელი სიტყვების გამო, დროებით შეწყდა პიანინოსა და აკორდეონის გაუთავებელი ხმები, დოლის ბავაბუგი. მეც ძილმა მომპარა თვალები და წუთით ჩავთვლიძე. მაგრამ საშინელმა ხმაურმა თოფნაკრავივით წამომავლო ლოგინიდან. დოლის გამაყრუებელ ხმაზე ვილაცქევევდა და საშინელ ღრიალთან ერთად ისე ვამეტებით ურტყამდა ფენს იატაკზე, რომ კედლებიდან ბათქაშმა დაიწყო ცვენა.

ლამე თეთრად გავათენე (ბარემ მექეიფნა მეზობელთან, მამაძალად მაინც არ მომნათლავდნენ). დილით, სტუმრებთან ერთად, მეც ბარბაციოთ მივდიოდი ქუჩაში. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი ღვინით იყვნენ მთვრალი, მე კი — უძილობით. მივდიოდი და თან ფეიქრობდი — რატომ არის, რომ ზოგიერთი მეზობელი სტუმარს წინა დღით პატიჟობს, ხოლო სუფრასთან 12 საათის შემდეგ — მეორე დღეს იწყებს და ქეიფობას იწყებენ სწორედ მაშინ, როდესაც ქალაქში სიწყნარე უნდა იყოს, რომ დაისვენონ დღისით დაღლილმა მშრომელებმა.

ერთ უძილო ღამეს კაცი გაუძღვებს, მაგრამ ჩვენი სახლი დიდა, მეზობლები მრავალრიცხოვანია, ქეიფი და კამპანია ხან ერთს აქვს და ხან მეორეს, მთელი კვირის განმავლობაში თვალმოუხუჭავად და დაუსვენებლად ვინ გასძლებს. იქნებ, ვისაც ეს ენება, იფიქროს იმის შესახებ, რომ ყველა ასრულებდეს სავალდებულო წესს და ღამის 12 საათის შემდეგ გამართული ღრეობითა და ქეიფით სხვებს არ აყენებდეს უქეიფო ხასიათზე.



ბ. ნუკრიძე



ქაქაჩის ბიუროსთან

— მესმის შენი განწყობილება, პირველად ყველა ასე ღელავს!
— მე მუდამ ასე მემართება!


რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. ღუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ქელიძე.

საქ. კმ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нянгги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, ხაერთო განყოფილების — 3-10-49


ხელმოწ. დასაბ. 18/III-1961 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეჯ. № 463, უგ 00030. ტირ. 40000



ლიდერებმა სამი მარიონეტული რეჟიმისა, რომლებიც შექმნეს კოლონიზატორებმა და მათმა დაქირავებულებმა კონგოს მიწა-წყალზე, ელიზავეტვილში ხელი მოაწერეს სამხედრო პაქტს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ.

ამ სამხედრო შეთანხმების მონაწილენი არიან კატანგის თვითმარქვია მმართველი ჩომბე, საზრეთ კასის მარიონეტული „სახელმწიფოს“ ლიდერი კალონჯი და „პრემიერ-მინისტრი“ ლეოპოლდვილში ამას წინათ შეკოწიწებული კონგოს ეგრეთ წოდებული „ახალი მთავრობისა“ ილფო.

მარიონეტებისა და მოღალატეთა
შეთანხმება „მაღალ დონეზე.“



კონგო-კინი
კამბოჯა